

# 24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი კარასკვი, 2 აპრილი, 2002 წელი. №61 ფასი 50 თეთრი

## ნადარბივნილი მთავარ მოკავშირედ გახივნილს მიიჩნევს

სოფო ბაკია

თამაზ ნადარბივნილი და ნანაპირები შეასრულა და აფხაზეთის დაბრუნების პროცესში 1 აგვისტომდე ჩაურევლობის მორატორიუმი აფხაზეთის უზუნაესი საბჭოს სხდომაზე საზეიმოდ მოხსნა. სხდომა ნაკლებად საზეიმოდ განვიტარდა დეპუტატ ჯემალ გამახარიაშვილის, თუმცა, ამის შესახებ მოგვიანებით.

საგანგებო სესიამდე საკონსტიტუციო სასამართლოს შენობის წინ დევნილთა სამიათასიანი აქცია დაიწყო.

ნადარბივნილი დღეიდან აფხაზეთის საკითხებს საკუთარი გეგმის მიხედვით მოაგვარებს. გუშინდელ საგანგებო სესიაზე მან აფხაზეთის ლეგიტიმური აღმასრულებელი ხელი-სუფულება მთლიანად დაითხოვა. გააყენებულია ყველა მინისტრი, რეგორმა არ შეეხი მხოლოდ სასამართლო ხელისუფლებას. ახალი მთავრობა ათ დღეში დაკომპლექტდება და ნადარბივნილის კურსის მონინალმდეგებს იქ ადგილი აღარ ექნება.

**“დღეიდან აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე მინა 24 საათის განმავლობაში უნდა იწვიოდეს, დამსვენებლები იქიდან შიშით უნდა გაბრუნდნენ”,** - აცხადებს თამაზ ნადარბივნილი და მორატორიუმისგან ათავისუფლებს პარტიზანებს. მთავარ მოკავშირედ მას იმერეთის რწმუნებული თემურ შამიაშვილი ეგულება, რომელიც ასევე ესწრებოდა გუშინდელ სხდომას და რომელიც ლეგიტიმურ ხელისუფლებას მორალურ და ბატერიალურ მხარდაჭერას აღუთქვამს. შამიაშვილი დევნილებს, შემოდგომიდან, მთელი საქართველოს მასშტაბით, შიმშილობებისა და აქციების ჩატარებისკენ მოუწოდებს და შპირდება, მეც თქვენთან ერთად ვიმშობილებო.



შამიაშვილი დევნილებს შიმშილობებისა და აქციების ჩატარებისკენ მოუწოდებს

## ამერიკის ადმინისტრაციის საქართველოს მხარს უჭერს

ლევან დირსიაშვილი

ჩეჩნეთში, რუსეთ-საქართველოს საზღვართან პრძოლები გრძელდება. ორი სახელმწიფოს დიპლომატიურ დაპირისპირებაში კი შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლები ჩაერთვნენ.

რუსეთ-საქართველოს საზღვრის სიახლოვეს ჩეჩენი მებრძოლების ნინალმდეგ მიმართული რუსეთის არმიის საბრძოლო ოპერაციების პარალელურად, ძლიერდება რუსეთის ხელისუფლების საქართველოზე ზეწოლა და მუქარა.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, მიხეილ მარგელოვის განცხადებით, რუსეთის პარლამენტის ზედა პალატა დაეთანხმება რუსეთის არმიის მიერ პანკისის ხეობაში სუცოპერაციების ჩატარებას, თუკი ამგვარი თხოვნით პრეზიდენტი პუტინი რუსეთის ფედერაციის საბჭოს მიმართავს, რასაც მარგელოვი არ გამოიტყვავს. ამასთანავე, ის იმედოვნებს, რომ, თუ ქართულ მხარეს არ შეუძლია პანკისის ხეობაში არსებული პრობლემის მოგვარება, საქართველოს ხელისუფლება გონიერებას გამოიჩინებს და პანკისის ხეობაში წესრიგის დასამყარებლად რუსეთს მიმართავს. **“როცა ადგილი აქვს ორგანიზაციულ და ოპერატიულ იმპოტენციას, ის უნდა განიკურნოს”,** - დასძინა მარგელოვმა.

მარგელოვის განცხადება კიდევ უფრო გაამყარა რუსეთის საპერო-

ბაზრძილება A3 ბაზრძილება

## კიდევ ერთი მკვლელობა პანკისში

კახეთის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო რეგიონში კრიმინოგენური სიტუაციის გამოსწორებით კმაყოფილია. კრიმინალის შემცირების მიზეზად სამმართველოში პანკისის ხეობაში არსებულ “სტაბილურობას” ასახელებენ. არადა, დღე არ გავა, რომ პანკისში სისხლის სამართლის დანაშაული არ მოხდეს, კახელი სამართალდამცველები 122 საეჭვო პიროვნებას ეძებენ, რომელთაგან, მათივე ინფორმაციით, დაახლოებით 60, სავარაუდოდ, პანკისის ხეობას აფარებს თავს.

დღე არ გავა, რომ ჩეჩენმა ბოეიკებმა ერთი ადგილობრივი მცხოვრები მაინც არ მოკლან. გუშინ შვიარალებულმა ჩეჩენმა სიცოცხლეს გამოასალმა ოჯახის წევრებთან – ორ ვაჟთან და მეუღლესთან ერთად საკუთარი ავტომანქანით სოფელ ომალოსკენ მიმავალი გაიოზ გამრეკელაშვილი.

ბაზრძილება A4 ბაზრძილება

აპრილი	
თბილისი	32
ქუთაისი	32
ბათუმი	31
სოხუმი	31
ფოთი	31
თელავი	31
ზუგდიდი	32
ბორი	29

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში	
აშშ დოლარი	2.1901
ევრო	2.1358
გირვანქა სტერლინგი	3.4231
რუბლი	0.0694

## დიპლომის ბაზრძილება მნიშვნელოვანია

თამარ ხორბალაძე

ოთხშაბათს, როცა საქართველოს მთავრობა წლევეანდელი ექვსი თვის მუშაობის შედეგებს აჯამებდა, საზოგადოებისათვის უზილავი სოციალური და ეკონომიკური მიღწევებით კმაყოფილებას ვერ მალავდა და “ჯერ კიდევ არსებული პრობლემების” მთავარ მიზეზად სიტყვის ზღვარ გადასულ თავისუფლებას ასახელებდა, ოპოზიციურ პარტიათა უკვე ცნობილი ერთობა დახურულ კარს მიღმა შეიკრება და მომავალი მოქმედებების გეგმა დასახა.

ეროვნულ-დემოკრატიები, “დემოკრატიები”, ტრადიციონალისტები, “სახალხო”, “ნაციონალები” ისევე ერთ მაგიდასთან დასხდნენ და საზღვრულად განმარტებული კონსულტაციებით იმის მოლოდინი გააჩინეს, რომ სამომავლოდ საქართველოში ერთიანი ოპოზიციური ფრონტი რეალურად ჩამოყალიბდება.

**“24 საათი”** შეეცადა გაერკვია, რამდენად სერიოზულად აღიქვამენ მიმდინარე კონსულტაციებს თავად მონაწილე პარტიები, რა მომავალი შეიძლება ჰქონდეს ამ ერთობას და მართლაც “უგანეს” თუ არა ორიოდეკვირის წინანდელ თანამოაზრეებს “ახლებმა”.

**მოკა ბაბაშვილი** - “გაერთიანებული დემოკრატიების” აღმასრულებელი მდივანი.

- შევთანხმდით, რომ შევექმნით სამუშაო ჯგუფს, პარტიების აღმასრულებელი ხელმძღვანელების მონაწილეობით. იგი მოამზადებს იმ საკითხებს, რაზეც შეიძლება მოხდეს შემდგომი შეთანხმება და გაიმართოს დიალოგი. პირველ რიგში, ეს არის პოლიტიკის კრიმინალიზაციის ნინალმდეგ მიმართული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა, იმის აღიარება, რომ ასეთი თამაშის წესები ჩვენთვის მიუღებელი იქნება.

ბაზრძილება A4 ბაზრძილება

## სინხს საბურავებით ანათებენ

ინგა ალავიძე

საპატიმროების საგუშაგოებზე ბადრავებზე, შესაძლოა, მალე “კარგი პატიმრები” ვიხილოთ. ამ ნივთიერული განცხადების ავტორი სასჯელაღსრულებელი დეპარტამენტის თავმჯდომარე პაატა მჭვიძეა.

**“70-ლარიან ხელფასზე მუშაობა არავის უნდა, ბადრავები იძულებულინი არიან, რაღაც-რაღაცებზე წვიდნენ, რათა თავი იჩინონ. იქამდე მივიდნენ, რომ პატიმრებს ლამის ეხვევებინან, არ გინდათ, გვირგვინი არ განთავსოთ, არ ინვალით, ჩვენ მოგვეცით რამე და გაგვიშვებოთ, ამიტომაც ახლა გვირგვინს გათხრა აღარ არის პოპულარული”,** - აცხადებს პაატა მჭვიძე. ციხეების უფროსი, რომელიც საპრობლემატიკურ არსებულ სიტუაციას გაუსაძლისს უწოდებს, მიჩნევის, რომ

საპატიმროებში ჩატარებული საკადრო წმენდა გამოსავალი არ არის: **“ბოლო პერიოდში 240 ბადრავი დავიტოვეთ სამსახურთან. 61 “მგლის მილითი” წავიდა სისტემიდან. რუსთავის კოლონიისთვის გადაგვას მარნეულში ვაგროვებთ. ბაზრავს ჩაცმულობითა და გარგვანობით პატიმრისგან ვერ განასხვავებთ, თუ ასე ვაგრძელებთ, პატიმრები დაიკავებენ გუშავის ადგილს”,** - ამბობს პაატა მჭვიძე.

გუშინ ოუსტიციის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილე, კახა კობერიძემ და პაატა მჭვიძემ პუბლიცისტურ სისტემაში არსებული მდგომარეობა შეაჯამეს. უფრო ზუსტად, საპატიმროებში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე ისაუბრეს.

ბაზრძილება A4 ბაზრძილება

## სოლომონ დოდაშვილის შთამომავლების „პრივილეგია“



სასამართლო აღმასრულებლების დამმარე ძილა

ქეთი ქადაგიშვილი

გუშინ ქალაქის სააღმსრულებლო ბიუროს უფროსის გაა ჩალათაშვილის ხელმძღვანელობით ნილებიანმა და ხელკეტრომარჯვებულმა თანამშრომლებმა ვაშლიჯვარში, გომიაშვილის ქ. №17-ში მცხოვრები მრავალწლიანი ოჯახები გამოაძევეს. სანახევროდ დანგრეულ შენობაში აღმასრულებლებმა დროებით მხოლოდ დევნილები და ერთი ოჯახის ავადმყოფი წევრები, მათ შორის ერთი მე-3 კატეგორიის ინვალიდი, დატოვეს. ესეც - რეფისორ თემურ ჩხეიძის თხოვნით. ამ ოჯახის წევრები სოლომონ დოდაშვილის შთამომავლები არიან, მინალმდეგ ბინა დაეწვრათ და ამ შენობას შეაფარეს თავი. აღმასრულებლებმა თან მანქანაც მოიყილეს ამ ავადმყოფების ნასაყვანად, მაგრამ ისინი თემურ ჩხეიძემ იხსნა. დაწინებებს კი ასეთი დამმარე არ აღმოაჩნდათ და რამდენიმე მრავალწლიანი დედა თავშესაფრის გარეშე დარჩა.

ბაზრძილება A4 ბაზრძილება

## პარლამენტი ელექტროენარბიის ტარიფის შემცირებას მოითხოვს

განხორციელა. აქედან 150 მილიონი ლარი კომპანიამ ამ ორ წელიწადში ელექტროენერჯის შექმნაზე (1999 წელს 50 მილიონი და 2000 წელს 100 მილიონი ლარი) დახარჯა. ამასთან, ეს თანხები კომპანიამ ტარიფში ორჯერ შეიტანა: პირველად, როგორც ელექტროენერჯის შექმნისთვის გადახდილი საფასური, მეორედ კი - როგორც ინვესტიცია. თუმცა, ეს არ არის ერთადერთი პრეტენზია, რომელიც, ოთარ გამრეკელიძის დასკვნაზე დაყრდნობით, კომისიამ “ეი-ი-ეს თელასს” წაუყენა.

დასკვნის მიხედვით, ბევრ პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ “თელასში” შესულ “ეი-ი-ესს” ქონება და მინა არასრულად შედგენილი დოკუმენტაციით გადაეცა. 1420 ობიექტადან, რომელიც ახლა “ეი-ი-ეს თელასის” მფლობელობაშია, მხოლოდ 21-ის ფართობი დაზუსტებულია. ცხადია, რომ ასეთი გაურკვევლობით საქართველოს ბიუჯეტი ზარალდება, რომელიც კომპანიისგან, მინისი და ქონების გადასახადის სახით, კუთვნილზე ბევრად ნაკლებს იღებს.

გადასინჯოს ხელშეკრულება “ეი-ი-ეს თელასთან” და შემცირდეს ტარიფი ელექტროენერჯიაზე - ასეთი დასკვნა წარუდგინა “საქენერჯო 2000-ის” ექსპერტმა ოთარ გამრეკელიძემ. გუშინ გამართულ სხდომაზე, პარლამენტის ენერჯეტიკული კრიზისის პრობლემების შესწავლელ კომისიას. მას კომისიამ “ეი-ი-ეს თელასისთვის” დაწესებული ამჟამად მოქმედი ტარიფის (ერთ კილოვატ/საათზე 12.4 თეთრი) მართებულობის შესწავლა მოსთხოვა. დასკვნის თანახმად, “ეი-ი-ეს თელასის” ტარიფი გაუმართლებლად მაღალია, რასაც კომპანიამ ტარიფი ინვესტიციების მოცულობის 150 მილიონი ლარით “გაბერვითა” და სხვა საშუალებებით მიაღწია. ამ ყველაფერში მთავარ “დამსაჯვედ” კი ქვეყნის მთავრობის მიერ “ეი-ი-ეს თელასთან” 1999 წელს გაფორმებული ხელშეკრულება დასახელდა.

საპარლამენტო კომისიის ექსპერტის დასკვნის თანახმად, “ეი-ი-ეს თელასმა” 1999-2000 წლებში 236 მილიონი ლარის ტარიფი ინვესტიცია

ბაზრძილება A3 ბაზრძილება









ფეხბურთი

სკოლარი ჯერ კიდევ ბრაზილიის მწვრთნელია

21 აგვისტოს ბრაზილიის ნაკრები, ქალაქ ფორტალეზაში, ამხანაგურ მატჩში უმასპინძლებს პარაგვაის ეროვნულ გუნდს. ამ შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონებს კვლავინდებურად უხელმძღვანელებს ლუის ფელიპე სკოლარი. "დიდა ფილმა", რომლის კონტრაქტი ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციასთან, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე

ამოიწურა, ჯერაც ვერ გადაუნწყვეტია, გააგრძელოს თუ არა მოვლენობა ნაკრების მწვრთნელის პოსტზე. ფედერაციის პრეზიდენტი რიკარდო ტეიშეირა ცდილობს, რომ სკოლარის კონტრაქტი გაუგრძელდეს. სავარაუდოდ, მხარეები მომავალ კვირას შეხვედებიან და სკოლარის მომავალიც, ალბათ, იქ გაირკვევა. (sid)

„ეფე“ კლუბს ეძებს

ვეგონე, ეშველა მოუნენის "ბაიერნი" სკანდალურ ექსკაპიტანს. რაც მოუნენიდან წავიდა, შტეფან ეფენბერგმა საზოგადოების ყურადღება მხოლოდ იმით მიიქცია, რომ ყოფილ მეგობარ ტომას შრუნცს ცოლი წაართვა და საკუთარი ოჯახი გაუფრთხილებლად მიატოვა.

"ეფეს" სამსახურით დაინტერესდა თურქული "ბეშიქთაში", რომელსაც გერმანელების მიმართ დიდი სიმპათია აქვს. შარშან ხომ ამ კლუბს კრისტოფ დაუმი წვრთნიდა. "ეფეს" თურქები 1,5 მილიონ ევროს სთავაზობენ და მისგან მხოლოდ წარმატებებს ელიან. "ბეშიქთაშს" ახალი მწვრთნელი ჰყავს, რუმინელი მირჩა ლუჩესკუს სახით, რომელმაც "გალათასარაი" მწვერვალზე აიყვანა. კლუბმა გასულ სეზონში მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა, მაგრამ "ბეშიქთაშის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს. მალე გუაბი-ნაბადა.

და აი, გვირახის ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა სინათლე.

ესკანეთში

66 ფეხბურთელი უმეცხვარია

უმეცხვარ ფეხბურთელთა პრობლემას ვერც ესპანური "პრემიერ დივიზიონი" გაექცა. ქვეყნის უმაღლესი საფეხბურთო ლიგის 66 ფეხბურთელი ჯერაც კონტრაქტის გარეშეა. უმეცხვართა სიაში საკმაოდ ცნობილი მოთამაშეებიც მოხვდნენ. მათ შორისაა რუსი ვალერი კარპინიც, რომელიც "სელტა ვიგოს" მიერაა დათხოვნილი. უგუნდოდაა "ვალენ-

სიას" ყოფილი რუმინელი ლეგიონერი ადრიან ილიე. ახალი კლუბი ვერ იშოვებს ექს-ბარსელონელმა გილერმო ამორბა და არგენტინელმა მეკარემ კარლოს როამ. ისევე, როგორც ევროპის უმეტეს ქვეყნებში, ესპანური კლუბებიც იძულებულნი არიან, თანხები დაზოგონ, რის გამოც გუნდები კადრების მასობრივ შემცირებას ეწევიან. (sid)

ლიბერტადორის თასს პარაგვაის „ოლიმპია“ დაუფლა

ლიბერტადორის თასის 2002 წლის გათამაშების გამარჯვებული პარაგვაის "ოლიმპია". ეს საკმაოდ დიდი სიურპრიზია, რადგან პარაგვაელებს, პირველი ფინალური მატჩი ბრაზილიური "სან კაეტანოს" წინააღმდეგ შინ ჰქონდათ ნაგებული (0:1).

31 ივლისს, სან პაულუმში მეორე ფინალური მატჩი გაიმართა. "ოლიმპიას" მოგება მინიმუმ ერთი ბურთით სჭირდებოდა, ამ შემთხვევაში კი საქმე თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერიამდე მივიდოდა. ლიბერტადორის თასზე, მეტოქის მოედანზე გატანილი გოლი უპირატესობად არ ითვლება, იქ განსხვავებული წესებია. თუ ორი მატჩის ჯამში გუნდების შეხვედრა ფრედ დამთავრდა, საქმე პენალტების სერიით მთავრდება.

სან პაულუმში ანგარიში მასპინძელმა "სან კაეტანომ" გახსნა. გოლი კვლავ აილტონმა გაიტანა, რომლის ანგარიშზეა ასუნსიონში გამართული პირველი ფინალური მატჩში გატანილი ერთადერთი ბურთი.

ბრაზილიელებს თითქოს უკვე განადგობილი ჰქონდათ ლიბერტადორის თასი, თუმცა "ოლიმპიამ" მატ-




"ოლიმპიას" ფეხბურთელები ლიბერტადორის თასით

რომარიოს ახალი კლუბი „ფლუმინენსა“

მას შემდეგ, რაც ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ლუის ფელიპე სკოლარმა რომარიო ნაკრებს მიღმა დატოვა და მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანა, ბრაზილიის ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთ უძლიერეს თავდამხმელს ურთიერთობა გაუფუჭდა თავისი კლუბის "ვასკო და გამას" ხელმძღვანელობასთანაც.

თვეზე მეტია, რაც რომარიო უგუნდოდა. საუბრები იყო "ფლამენგოში" დაბრუნებაზე, მაგრამ კლუბმა ფეხბურთელზე უარი განაცხადა, აგრეთვე ინგლისურ "პირმინგემში" გადასვლაზეც, მაგრამ პრემიერლიგაში ახლად გადასული გუნდის ხელმძღვანელობამ რომარიოს თავისთან გადაყვანა არ ისურვა, თავდამსხმელის ასაკის გამო - რომარიო 36 წლისაა.

ოთხშაბათს, როგორც იქნა, გაირკვა რომარიოს ახალი კლუბის სახელი.



რომარიო

მომავალი სეზონიდან ბრაზილიური ფეხბურთის ვეტერანი რიო დე ჟანეიროს "ფლუმინენსეში" თიამაშებს. "ფლუმინენსე" ერთ-ერთია იმ ოთხი გუნდიდან, რომლებიც "არი დე ჟანეიროს დიდ ოთხეულს" წარმოადგენენ. მათ შორის არიან რომარიოს ყოფილი კლუბები "ფლამენგო" და "ვასკო და გამას". "დიდი ოთხეულის" ერთადერთ გუნდზე, რომლის შემადგენლობაშიც თავდამსხმელს ჯერ არ უთამაშია, "ბოტაფოგო" რჩება.

"ფლამენგოსა" და "ვასკო და გამას" გულშემოტყვიერებს ფეხბურთელის ასეთი გადაწყვეტილება დიდად დაამწუხრებს, რადგან ეს კლუბები "ფლუმინენსეს" "მოსისხლე მტრებად" მიიჩნევიან.

რომარიო "ფლუმინენსეს" შემადგენლობაში თავის პირველ მატჩს 11 აგვისტოს ჩაატარებს.

სხვადასხვა

კურნიკოვსკი არ სჭარათ

არა და არ დაადგა ანა კურნიკოვის საშველი. იმის მიუხედავად, მოიგებს თუ წაიგებს, ყურნიკოვსკის მხოლოდ ერთი რამ აინტერესებთ: რამდენად სერიოზულადაა ანა დანტერესებული ჩოგბურთში წარმატების მიღწევით? თუ კორტზე გასვლა მხოლოდ საკუთარი გარეგნობის დემონსტრირებისთვის სჭირდება?

რუსი ჩოგბურთელი საზოგადოების ასეთ დამოკიდებულებას კიდევ აიტანდა და ეცდებოდა, ყურნიკოვსკის ტეზე არ გაბრაზებულიყო, მაგრამ როცა იგივე კითხვა საკუთარმა მწვრთნელმა ჰპრობოდა სოლომონმა დასსუვა, ანა ერთდროულად გოცდა და განრისხდა.

"მე მას ვუთხარი, რომ პროფესიონალი ჩოგბურთელი ვარ და მინდა, რაც შეიძლება მეტი გამარჯვება მოვიპოვო. ასე რომ არ იყოს, რატომ დავკარგავდი ამდენ დროს ჩოგბურთის თამაშისთვის?" - გაოცებით კითხულობს ანა, რომელსაც ვერ გაუგია, რომ თუ ერთხელ მაინც ვერ შეძლებს ერთეულთა თანრიგში, სულ ცოტა, ერთი ტურნირის მოგებას მაინც, მის პროფესიონალიზმსა და ოსტატობაში ყველას სერიოზულად შეაპარება ეჭვი.

მია ბარსაჰვილი

მართალია, სანკლოსო სახეობათა ევროპის ჩემპიონატზე არ გამოდის ისეთი სახელოვანი მოცურავე, როგორც სამეხის ოლიმპიური ჩემპიონი, პოლანდელი ინგე დე ბრუნი, მაგრამ ჩემპიონატის საფორმო დისციპლინებს ხიბლი მაინც არ დაუკარგავთ. მეტიც, 50 მეტრზე ბატერფლაიში პოლანდიელს სულაც რეკორდი ჩამოართვეს.

მოცურავეთა ასპარეზობის მეორე დღე, შედეგების მხრივ, მართლაც საინტერესო გამოდგა. გერმანელმა სტივ ტელოკმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ჩემპიონატის ოქროსთან ერთად საკუთარი რეკორდიც გააუმჯობესა - 54,42. ადრე კი ასე კეთილი ნების თამაშებზე გაიხარჯა. ახლანდელსა და უკვე არქივში გადაახებული შედეგებს შორის სხვაობა ერთი მეასედი ნაშია.

კონტინენტის საუკეთესო შედეგით აუზის კიდესთან პირველი აღმოჩნდა ფინელი იარე ხარდი. 50 მეტრზე ბატერფლით ასპარეზობისას ფინელმა შედ ლარს ფროლანდერზე იძია შური, როდესაც მისი რეკორდი 0,07 წამით გააუმჯობესა - 23,50.

ვაგებისგან განსხვავებით ევროპის რეკორდი ოუკარდისა შეედმა ანალიმ გადმოიჩინა თავი. სხვათა შორის, ლესლის კიდევ ერთი უნიკალური რეკორდი ეკუთვნის. იგი პირველი ქალი კალათბურთელია, რომელმაც კარიერის მანძილზე 3000 ქულაზე მეტი მოიპოვა.

ტარზანის მემკვიდრეები



პეტერ ვან დენ შოგენბანდი

ყოველივე მსოფლიო რეკორდს ეყოფოდა, - ასპარეზობის შემდეგ განაცხადა კამერლინგმა.

მოცურავეთა პაექრობებმა მესამე დღეს მსოფლიოს საუკეთესო შედეგის გარეშე ჩაიარა, მაგრამ ინტრიგაც ცილებით მეტი იყო. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობა დღის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. ყოველივე კი იმის დამსახურებაა, რომ ერთმანეთის პირისპირ იდგნენ რუსი ალექსანდრ პოპოვი და პოლანდიელი პიტერ ვან დენ შოგენბანი. ესეც რომ არა, ეს დისციპლინა ყველაზე პრესტიჟულ და სანახაობ-

რივ სახეობადაა მიჩნეული. ცურვა არაერთ სახელოვან ჩემპიონს ითვალის, მაგრამ ყველაზე მეტი დიდება და სახელი, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მაინც იმით მოუხვეჭათ, ვისაც სპრინტერულ სახეობაში უმარჯვაცილებით მეტი იყო. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობა დღის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. ყოველივე კი იმის დამსახურებაა, რომ ერთმანეთის პირისპირ იდგნენ რუსი ალექსანდრ პოპოვი და პოლანდიელი პიტერ ვან დენ შოგენბანი. ესეც რომ არა, ეს დისციპლინა ყველაზე პრესტიჟულ და სანახაობ-

რივ სახეობადაა მიჩნეული. ცურვა არაერთ სახელოვან ჩემპიონს ითვალის, მაგრამ ყველაზე მეტი დიდება და სახელი, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მაინც იმით მოუხვეჭათ, ვისაც სპრინტერულ სახეობაში უმარჯვაცილებით მეტი იყო. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობა დღის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. ყოველივე კი იმის დამსახურებაა, რომ ერთმანეთის პირისპირ იდგნენ რუსი ალექსანდრ პოპოვი და პოლანდიელი პიტერ ვან დენ შოგენბანი. ესეც რომ არა, ეს დისციპლინა ყველაზე პრესტიჟულ და სანახაობ-

პავშევსისთვის 1 სექტემბრამდე 50% ფასდაკლება



გეპაპოვიშვიკატი „ლაგუნა პეჩე“

### დრაკულას პარკი

რუმინეთის მთავრობამ ტრანსილვანიის ქალაქ სიგიშოარაში გასართობი პარკის - "დრაკულაენდის" მშენებლობაზე უარი განაცხადა. არადა, იდეა ტურიზმის მინისტრს მატეო დანს ეკუთვნოდა. ის ყველას არწმუნებდა, რომ ასეთი პარკი ქვეყნის შემოსავლებს ტურიზმიდან გააორმაგებდა.

მას ყველაზე მეტად რუმინული თუ უცხოური გარემოს დამცველი და ისტორიული ორგანიზაციები დაუპირისპირდნენ. მათ მიანიჭათ, რომ შეთავაზებული "სათამაშო" ციხესიმაგრე და პარკი ქალაქის შუასაუკუნებრივ მთლიანობას დაარღვევს. ახლა ამ პარკისთვის ახალ მისამართს ეძებენ.

ლეგენდამ მე-15 საუკუნის რუმინელ თავად დრაკულაზე მსოფლიო აღიარება ჰპოვა ირლანდიელი ბრემსტოკერის მე-19 საუკუნის ბოლოს გამოქვეყნებული რომანის მეშვეობით.

### უკვდავი ლენი

ჯუდი ფოსტერმა ბაბელსბერგში გერმანელი რეჟისორის, ლენი რიფენშტალის შესახებ ფილმის გადაღება გადაწყვიტა. რიფენშტალი, რომელიც ნაცისტურ-პროპაგანდისტული ფილმებით იყო ცნობილი და წელს აგვისტოში 100 წლის ხდება, ფოსტერის თქმით, კინემატოგრაფის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდესი რეჟისორია.

### როზოტი საავადმყოფოში

ამომავალი მზის ქვეყანაში შექმნეს როზოტი, რომელიც პოლიკლინიკაში გაივლის "სტაჟირებას". კორპორაციის "მაცუსიტა ელექტრიკის" კონსტრუქტორებმა დაიკვირნეს, რომ მათი ქმნილება ახლა გამოცდას გადის. მისი საჯარო დებიუტი კი, მომავალ გაზაფხულს, სიგას (კუნძულ პონსიუზე) უნივერსიტეტის კლინიკაში შედგება.

120 კგ-იანი როზოტი ყუთს წააგავს და ექვს ბორბალზე დგას. ის კურიერის ფუნქციას შეასრულებს - ათასგვარი ცნობების, რენტგენის სურათების, ავადმყოფის ისტორიებისა და მსგავსი "მასალების" დამატარებლად იმუშავებს. ადამიანის სახის მსგავსი "სხეულის" ზედა ნაწილში პანელი აქვს ბრძანებების შესაყვანად.

დამტარებელი ჩვეულებრივ მოსიარულე ადამიანის სიჩქარით გადაადგილდება და, სენსორების მეშვეობით, ჩინებულად უქცევს გვერდს დერეფანში ან ლიფტში მოულოდნელ შემხვედრს. ერთია, კიბეზე ასვლა ვერ ასწავლეს.

ის დასამუშავი ბატარეიდან იღებს ენერჯიას, რომელიც 7 საათის განუწყვეტელი სიარულისათვის ყოფნის.

ექიმებს ისე მოსწონთ დაულალავი და უპრეტენზიო შიკრიკის საავადმყოფოში გამოჩენის ამბავი, რომ მზად არიან 67 ათასი დოლარი გადაიხადონ ერთ ასეთ როზოტში - ქალაქების დევნას იმდენი დრო მიუაქვს, პაციენტს ყურადღებას ვეღარ ვაქცევთო.

ნაქეზებული "მაცუსიტელები" ახლა რესტორნის ოფიციატებისა და სამრეწველო საწარმოების კურიერების დამზადებას გეგმავენ.

### Sex Pistols-მა ანტი-იუხილვა აღნიშნა

ივლისის ბოლოს, ლონდონის Crystal Palace-ში სკანდალური Sex Pistols-ის ე.წ. ანტისაოუბილო გა-მოსვლამ ჩაიარა. კონცერტი, უპირველესად, ჯგუფის სცენაზე 25-წლიან მოღვაწეობასა და დედოფლის იუბილეს ეძღვნებოდა.

ზუსტად 25 წლის წინათ მუსიკოსებმა ტემზაზე არენდით აღებულ ნავში ისტორიული კონცერტი გამართეს. როგორც ცნობილია, ამ "მხიარული გასეირნების" შემდეგ ჯგუფის წევრები საზოგადოებრივი ნესრიგის დარღვევისა და დედოფლის განაწყენების ბრალდებით დააპატიმრეს. დედოფალი პანკ-ჰიმნმა God Save The Queen-მა გააბრაზა (ჰიმნი ხომ სწორედ მას ეძღვნებოდა). იმ დროს, როდესაც მთელ ბრიტანეთში დედოფლის "ვერცხლის იუბილეს" აღნიშნავდნენ, სიმღერა მართლაც სკანდალური იყო.

ჯგუფმა უკანასკნელი საკონცერტო გამოსვლა, წელს, კვლავ დედოფალ ელისაბედ მეორეზე თავდასხმისთვის გამოიყენა, თუმცა მუსიკოსებმა "ცხელ გულზე" დედოფალს პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი და დევიდ ბექჰემიც მიაყოლეს. საკონცერტო გამოსვლა ვოკალისტმა ჯონი ლაიდონმა დაასრულა სიტყვებით: "რაც არ უნდა გავაკეთო ცხოვრებაში, არაფერზე ვინანებ". ლაიდონს შეუერთდნენ: სტივ ჯონსი, პოლ კუკი და გლენ მეტლოკი - Sex Pistols-ის თითქმის, ორიგინალური შემადგენლობა. აღსანიშნავია, რომ ჯგუფი 1996 წლის შემდეგ პირველად გამოჩნდა სცენაზე.



საბალეოფონო ქავერი

# მ-07

